გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 130

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ასტანა პალასი“-ს (ს/ნ 417896156) შორის არსებული 2020 წლის 15 ოქტომბრის №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს (ს/ნ 417896156) შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „გროსფარმ“-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში არსებული პანმდემიის გამო, ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გროსფარმ“-ი ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის გათვალისწინებითაც, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №183 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ“-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულებაში და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად განისაზღვრა პრივატიზაციიდან 3 (სამი) წელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „გროსფარმ“-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად -

პირობის შესრულებაში. განცხადების თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული პროექტის მიხედვით, დაწყებული იყო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (მოხსნილი იყო მიწის ნაკვეთის ფენა, შტანილი იყო 1 მეტრის სისქის მყარი მასალა და დამუშავებული იყო ვიბროკატოკით, მიყვანილი იყო კომუნიკაციები, ტერიტორიაზე მიტანილი იყო სამშენებლო დამხმარე მასალა). აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გროსფარმ"-ის დირექტორი აცხადებდა, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდებოდა 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის გათვალისწინებითაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №178 განკარგულების საფუძველზე, ცვლილება შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ"-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულებაში და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად განისაზღვრა პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „გროსფარმ"-ის დირექტორის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ფინანსური პრობლემების გამო ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. შპს „გროსფარმ"-ის დირექტორი აცხადებდა, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდებოდა 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის გათვალისწინებითაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №121 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გროსფარმ"-ს შორის 2020 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ პირობით გამოცხადებული აუქციონის №21 ხელშეკრულებაში და პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად განისაზღვრა პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წელი, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდებოდა 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნებოდა მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

მოგვიანებით, შპს „გროსფარმ"-ს (ს/ნ 417896156) შეეცვალა სახელწოდება და დღეის მდგომარეობით ჰქვია შპს „ასტანა პალასი" (ს/ნ 417896156).

შპს „ასტანა პალასი"-მ (ს/ნ 417896156) 2025 წლის 16 ივნისს მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით შენობა სრულად არის აშენებული, საჭიროა სახურავის გაკეთება, შიდა და გარე გალესვა, შიდა კომუნიკაციების (ელექტროენერგია, წყალკანალიზაცია) მოწერიგება. განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია მითითებული პირობის ვადის გაგრძელება კიდევ 1 (ერთი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ასტანა პალასი"-ს შორის არსებული 2020 წლის 15 ოქტომბრის №21 პრივატიზაციის

ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ასტანა პალასი“-ს შორის არსებული 2020 წლის 15 ოქტომბრის №21 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი მტკვარწყალმშენის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3546.00 კვ.მ; ს/კ 66.54.23.050) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე